საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ჯაზის ხელოვნება“

მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

შემოქმედებითი ტურები:

1. სპეციალობა;
2. მუსიკის თეორია:
სოლფეჯიო – წერა (კარნახი, სმენითი ანალიზი);
ტესტი ჯაზის თეორიაში – წერა;
ჯაზური მუსიკის ნიმუშების გამოცნობა – წერა.

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100.

<u>**სპეციალობა**</u>

1. აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს სამი სხვადასხვა სტილის (სვინგი, ბალადა, ჯაზ-ვალსი, სამბა) ჯაზური თემა და იმპროვიზაცია იგივე თემის ორ ქორუსზე;
2. აბიტურიენტმა ფურცლიდან უნდა წაიკითხოს მარტივი ჯაზური თემა (საკრავიერი – დაკვრით, ვოკალური – სიმღერით);
3. კოლოკვიუმი: აბიტურიენტმა ფორტეპიანოზე უნდა შეასრულოს III-IV კლასის სირთულის კლასიკური ან ჯაზური ნაწარმოები; გამონაკლისია პიანისტები, ვისაც მოეთხოვებათ VII კლასის სირთულის ნაწარმოების შესრულება.

მუსიკის თეორია

შენიშვნა: აბიტურიენტებმა კარნახი და სმენითი ანალიზი უნდა ჩაწერონ აუდიოჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებული) მიხედვით.

სოლფეჯიო (წერა)

კარნახი:
აბიტურიენტს მოეთხოვება II-III კლასის დონის რიტმულად მარტივი ერთხმიანი კარნახის ჩაწერა ბუნებრივ მაჟორსა და სამი სახის მინორში.
ჩაწერის დრო – 30 წუთი.

სმენითი ანალიზი:

1. ბგერათრიგები და კილოები: სამი სახის მაჟორი; სამი სახის მინორი; მაჟორული ბგერათრიგის კილოები: დორიული, ფრიგიული, ლიდიური, მიქსოლიდიური, ლოკრიული; შემცირებული ბგერათრიგი; მთელტონიანი ბგერათრიგი; მაჟორული და მინორული პენტატონიკის ბგერათრიგები; ბლუზის ბგერათრიგი.
2. ინტერვალები: მარტივი დიატონური ინტერვალები: წ1, დ2, პ2, დ3, პ3, წ4, წ5, დ6, პ6, დ7, პ7, წ8 და ტრიტონი.
3. აკორდები:
   ოთხი სახის სამხმოვანება (მაჟორული, გადიდებული, მინორული, შემცირებული);
   ხუთი სახის სეპტაკორდი (მაჟორული, დომინანტური, მინორული, ნახევრად-შემცირებული, შემცირებული);
   მაჟორული და მინორული სამხმოვანებები სექსტით;
   სეპტაკორდი შეკავებით (sus სეპტაკორდი).

სოლფეჯიოში საგამოცდო მოთხოვნების ნიმუში

1. კარნახი



2. სმენითი ანალიზი

<u>ბგერათრიგები და კილოები:</u>

1. ჰარმონიული მაჟორი; 2. დორიული კილო; 3. შემცირებული ბგერათრიგი; 4. მელოდიური მინორი; 5. ბლუზის ბგერათრიგი (იკვრება 2-ჯერ).

<u>ინტერვალები:</u>

1. წ5; 2. პ7; 3. დ6; 4. ტრიტონი; 5. დ7 (იკვრება 2-ჯერ).

<u>აკორდები:</u>

1. მინორული სეპტაკორდი; 2. მაჟორული სამხმოვანება სექსტით; 3. სეპტაკორდი შეკავებით (sus სეპტაკორდი); 4. შემცირებული სეპტაკორდი; 5. გადიდებული სამხმოვანება (იკვრება 2-ჯერ).

ტესტი ჯაზის თეორიაში (წერა)

ტესტი შეიცავს 10 საკითხს ჯაზის თეორიიდან
(სამუშაო დრო - 1,5 ასტრონომიული საათი).

I. ნახევარტონი და მთელი ტონი, ენჰარმონიული ბგერები

1. მოცემული ბგერიდან ააგეთ აღმავალი დიატონური ნახევარტონი და მთელი ტონი.
2. მოცემული ბგერიდან ააგეთ დაღმავალი დიატონური ნახევარტონი და მთელი ტონი.
3. ქრომატიულად აამაღლეთ და დაადაბლეთ მოცემული ბგერა ნახევარტონით.
4. ქრომატიულად აამაღლეთ და დაადაბლეთ მოცემული ბგერა მთელი ტონით.
5. მოცემული ბგერისთვის დაწერეთ ორი ენჰარმონიულად ტოლი ბგერა.

II. ვიოლინოს და ბანის გასაღები, ბგერათა ასოებრივი აღნიშვნა

6. მოცემული სამი სხვადასხვა ოქტავის ბგერა ვიოლინოს გასაღებში აღნიშნეთ ასოებრივად ჯაზის თეორიის მიხედვით.
7. დაწერეთ სამი ბგერა მითითებულ ოქტავებში ვიოლინოს გასაღებში მათი ჯაზური ასოებრივი აღნიშვნის მიხედვით.
8. მოცემული სამი სხვადასხვა ოქტავის ბგერა ბანის გასაღებში აღნიშნეთ ასოებრივად ჯაზის თეორიის მიხედვით.
9. დაწერეთ სამი ბგერა მითითებულ ოქტავებში ბანის გასაღებში მათი ჯაზური ასოებრივი აღნიშვნის მიხედვით.
10. ვიოლინოს გასაღებში მოცემული მელოდია გადაიტანეთ ბანის გასაღებში.
11. ბანის გასაღებში მოცემული მელოდია გადაიტანეთ ვიოლინოს გასაღებში.

III. მეტრო-რიტმი

12. დაწერეთ მარტივი ორწილადი ზომის აღნიშვნის სამი მაგალითი.
13. დაწერეთ მარტივი სამწილადი ზომის აღნიშვნის სამი მაგალითი.
14. დაწერეთ რთული ორწილადი ზომის აღნიშვნის სამი მაგალითი.
15. დაწერეთ რთული სამწილადი ზომის აღნიშვნის ოთხი მაგალითი.
16. დაწერეთ შერეული ზომის აღნიშვნის ოთხი მაგალითი.
17. მოცემულ სამ გრძლიობას წერტილით გაუკეთეთ განმარტება ლიგის საშუალებით.
18. დაწერეთ შიდაწილიანი, წილებს შორის და ტაქტებს შორის სინკოპის მაგალითები.
19. მოცემული ოთხი გრძლიობა წარმოადგინეთ ტრიოლის სახით.
20. მოცემული მელოდია დაყავით ტაქტებად 2/4-ზე და სწორად დააჯგუფედ.
21. მოცემული მელოდია დაყავით ტაქტებად 3/4-ზე და სწორად დააჯგუფედ.
22. მოცემული მელოდია დაყავით ტაქტებად 3/8-ზე და სწორად დააჯგუფედ.
23. მოცემული მელოდია დაყავით ტაქტებად 4/4-ზე და სწორად დააჯგუფედ.
24. მოცემული მელოდია დაყავით ტაქტებად 6/8-ზე და სწორად დააჯგუფედ.
25. დაჯგუფების მიხედვით განსაზღვრეთ მოცემული მელოდიის ზომა (2/4, 3/4, 3/8, 4/4, 6/4, 6/8, 9/8, 12/8, 5/4, 7/4).
26. დაწერეთ მოცემული მელოდიის რიტმული ნახაზის შესრულების განმარტება სვინგში (გასვინგვა).

IV. ჯაზში გამოყენებული ინტერვალები

27. დაწერეთ ჯაზში გამოყენებული 17 მარტივი ინტერვალის აღნიშვნა ჯაზის თეორიის მიხედვით.
28. მოცემული ბგერიდან ააგეთ სამი ინტერვალი მათი ჯაზური აღნიშვნის მიხედვით.
29. ენჰარმონიულად შეცვალეთ მოცემული ♯2, ♯5, ♭7 დიატონური ინტერვალებით.
30. ენჰარმონიულად შეცვალეთ მოცემული ♭3, ♭6, 6 ქრომატიული ინტერვალებით.
31. ენჰარმონიულად შეცვალეთ მოცემული ♭5.
32. ენჰარმონიულად შეცვალეთ მოცემული ♯4.
33. განსაზღვრეთ მოცემული სამი ინტერვალის ტონობრივი სიდიდე.
34. მოცემული სამი ტონობრივი სიდიდეს მიხედვით ააგეთ შესაბამისი ინტერვალები.

V. აკორდები

35. მოცემული ბგერიდან ააგეთ ოთხი სახის სამხმოვანება: მაჟორული, გადიდებული, მინორული, შემცირებული.
36. მოცემული ჯაზური ასოებრივ-ციფრობრივი აღნიშვნის მიხედვით ააგეთ ოთხი სახის სამხმოვანება.
37. მოცემული ბგერიდან ააგეთ ხუთი სახის სეპტაკორდი: მაჟორული, დომინანტური, მინორული, ნახევრადშემცირებული, შემცირებული.
38. მოცემული ჯაზური ასოებრივ-ციფრობრივი აღნიშვნის მიხედვით ააგეთ ხუთი სახის სეპტაკორდი.
39. მოცემული ბგერიდან ააგეთ ალტერირებული სეპტაკორდები (სულ 6): გადიდებული მაჟორული, მაჟორული დადაბლებული კვინტით, დომინანტური დადაბლებული კვინტით, დომინანტური ამაღლებული კვინტით, მინორ-მაჟორული, ნახევრადშემცირებული ამაღლებული სეპტიმით.
40. მოცემული ჯაზური ასოებრივ-ციფრობრივი აღნიშვნის მიხედვით ააგეთ ალტერირებული სეპტაკორდი (სულ 6).
41. მოცემული ბგერიდან ააგეთ მაჟორული და მინორული სამხმოვანებები სექსტით.
42. მოცემული ჯაზური ასოებრივ-ციფრობრივი აღნიშვნის მიხედვით ააგეთ მაჟორული და მინორული სამხმოვანებები სექსტით.
43. მოცემული ბგერიდან ააგეთ სეპტაკორდი შეკავებით.
44. მოცემული ოთხი სახვადასხვა ჯგუფის აკორდის ჯაზური ასოებრივ-ციფრობრივი აღნიშვნის მიხედვით ააგეთ შესაბამისი აკორდები.

VI. ბგერათრიგები და კილოები

45. მოცემული ბგერიდან ააგეთ ბუნებრივი, ჰარმონიული და მელოდიური მაჟორის ბგერათრიგები.
46. მოცემული ბგერიდან ააგეთ ბუნებრივი, ჰარმონიული და მელოდიური მინორის ბგერათრიგები.
47. მოცემული ბგერიდან ააგეთ შემცირებული ბგერათრიგი.
48. მოცემული ბგერიდან ააგეთ მთელტონიანი ბგერათრიგი.
49. მოცემული ბგერიდან ააგეთ მაჟორული პენტატონიკის ბგერათრიგი.
50. მოცემული ბგერიდან ააგეთ მინორული პენტატონიკის ბგერათრიგი.

51.მოცემული ბგერიდან ააგეთ ბლუზის ბგერათრიგი.

52.ააგეთ მოცემული ბუნებრივი მაჟორის ბგერათრიგის კილოები: იონიური, დორიული, ფრიგიული, ლიდიური, მიქსოლიდიური, ეოლიური, ლოკრიული.

VII. აკორდები ტონალობაში

53.მითითებული ბუნებრივი მაჟორის ბგერათრიგში ააგეთ ყველა საფეხურის სეპტაკორდი (სულ 7) თავისი ჯაზური საფეხურებრივი აღნიშვნით.

VIII. ტრანსპონირება

54.მოცემულ მელოდიას გაუკეთეთ ტრანსპონირება მოცემულ ინტერვალზე.

სარეკომენდაციო ლიტერატურა

- ვახრომეევი ბ. მუსიკის ელემენტარული თეორია. თბ., 1987.
- ოძელაშვილი მ. ჯაზის თეორიისა და პრაქტიკის სისტემური კურსი. თბ., 2011.

სასწავლო მასალა საკითხების მიხედვით

I საკითხი 1–4,
ვახრომეევი. I თავი, §7; წერითი სავარჯიშოები N3-6;
საკითხი 5
ვახრომეევი. I თავი, §6; წერითი სავარჯიშო N7;
II საკითხი 6–11
ოძელაშვილი. შესავალი, §1, მაგ.1-3;
ვახრომეევი. I თავი, §4, II თავი, §10; წერითი სავარჯიშოები N6-7;
III საკითხი 12–26
ვახრომეევი. I თავი, §12, §16 მაგ.43, §22; III თავი, §18-20; წერითი სავარჯიშოები N1-17, ზეპირი სავარჯიშოები, სავარჯიშოები ფორტეპიანოზე N1-14;
IV საკითხი 27–34
ოძელაშვილი. შესავალი, §3 მაგ.1-2;
ვახრომეევი. IV თავი, §27-29; წერითი სავარჯიშო N5;
V საკითხი 35–44
ოძელაშვილი. I ნაწ. II თავი, §1, III თავი, §1-2, VIII თავი, §1 მაგ.1ა, IX თავი, §1 მაგ.1, XI თავი, მაგ.1-3, 7ა, 8;
VI საკითხი 45–52
ოძელაშვილი. VI ნაწ. I თავი, §2 მაგ.1, §3ა, §4 მაგ.4, §6 მაგ.7-8, §7 მაგ.9, §9 მაგ.13;
VII საკითხი 53
ოძელაშვილი. VI ნაწ. II თავი, §12 მაგ.1;
VIII საკითხი 54
ვახრომეევი. X თავი, §55; წერითი სავარჯიშოები N1-5.

ჯაზური მუსიკის ნიმუშების გამოცნობა (წერა)

შესრულებული იქნება ათი სხვადასხვა სტილის ჯაზური თემა.

აბიტურიენტმა უნდა განსაზღვროს თემის დასახელება.

(ჯაზური მუსიკის ნიმუშების სრული ჩანაწერი ინახება კონსერვატორიაში)